„დირექტორი“ უდარდელად იჯდა მაღაროში, ვაგონებისა და მუშა-ხელის ნაკლებობას იმიზეზებდა. ეს მიზეზი მართალი არ არის. წელს 100 ახალი ვაგონი მიიღო მაღარომ, მაგრამ ტრანსპორტის ყოვლად უმსგავსო მუშაობამ, რაც გამეზარდაშვილის ხელმძღვანელობით სწარმოებდა, ჩაშალა იანვრისა და თებერვლის გეგმა. იანვარში მაღაროს მუშა-ხელი საჭიროზე მეტი ჰყავდა, თებერვალში მუშათა რაოდენობა ნორმალური იყო, მაგრამ გეგმა მაინც არ შესრულდა. მარტში „სენსაცია“ მოხდა, მუშათა ნაკლებობის დროს გეგმა შესრულდა ეს მავნებლის ერთგულობის ნიღაბია. ეს გასაგებიცაა. მავნებელს თავისი მავნებლური საქმიანობის დასაფარავად სჭირდება წარმატებათა მაჩვენებლები, ამიტომ იგი პერიოდულად მართლაც იძლევა წარმატებებს.

განა შეგნებული მავნებლობა არ არის ის, რომ ამ მაღაროში ხშირად ხდებოდა ქვანახშირის ექსპლოატაციის წესები? ან რას ნიშნავს ის, რომ მაღაროში დღემდე მოტორები დაუმიწებელი იყო? მოტორის დამიწება 7 ომს უნდა უდრიდეს, ფაქტიურად 2 ომსაც არ შეადგენდა. ტექნიკური უშიშროების წესების დაუცველობამ და ქვანახშირის ექსპლოატაციის წესების სისტემატურად დარღვევამ რამდენიმე საუცხოესო სტახანოველი იმსხვერპლა. მაზე მეტი მავნებლობა შეიძლება? ცხვრის ტყავში გახვეული მავნებელი ვითომ არ იცნობდა მაღაროს მუშაობის წესებს...

ავარიებისა და მარცხების გაბზარება, ქვანახშირის გამოზიდვის ჩაშლა, ტექნიკური უშიშროების წესების სისტემატური დარღვევა, ამის გამო ადამიანთა მსხვერპლი—ასეთია მავნებლობის შედეგები ტყიბულის ქვანახშირის სტალინის სახელობის მაღაროში.

ამ მაღაროში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი რეგვენები, რომლებსაც შესწევთ გამბედაობა სთქვან:—სამთამადნო მრეწველობაში ადამიანის მსხვერპლი მუდამ იქნებაო. ეს კლასობრივი მტრის ენაა! როცა მავნებლობა და მისი შედეგები მთლიანად აღმოფხვრილია, როცა სანგრევში „მნგრეველს გამმაგრებელი ფენდაფენ მისდევენ და ტექნიკური უშიშროება ყოველმხრივ დაცულია, მაშინ თავიდან აცილებულია ადამიანის დამარცხებაც. ამას ადასტურებს დონბასისა და კუზბასის ქვანახშირის მაღაროების მუშაობა, სადაც ძალიან შემცირდა ადამიანთა დაზიანების შემთხვევები.

კლასობრივი მტრის ნაშიერალებს სამთო მრეწველობაში ადამიანთა მსხვერპლის აუცილებლობის მავნე თეორიის ქადაგება იმისათვის სჭირდებათ, რომ ტყიბულის მამაც მგრეველ სტახანოველთა და დაქვრელთა შორის შეჰქმნან შიში მაღაროში სამუშაოდ გასვლის წინააღმდეგ.

ტყიბულში მავნებლობის შედეგები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. ჯერ კიდევ აქვეა აქეს ტრანსპორტის შეფერხებით მუშაობას, რაც ხელს უშლის მაღაროების მუშაობას და სტახანოვური მოძრაობის გაშლას.

აპრილში ქვანახშირის მაღაროებში ძალიან გაუარესდა მუშაობა. პირველი დეკადის გეგმა მხოლოდ 76 პროცენტით შესრულდა. მეორე დეკადაში მდგომარეობა უფრო გაუარესდა, გეგმით გათვალისწინებული იყო 9728 ტონის გამოღება, ფაქტიურად გამოიღეს 6930 ტონა, —71,2 პროცენტი.

მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუწყნარებელია. ტყიბულს სავსებით რეალური გეგმა აქვს—350 ათასი ტონა ქვანახშირის გამოღება. ამ გეგმის შესრულებისათვის ტყიბულელებმა პირველ რიგში უნდა მოსპონ მავნებლობათა შედეგები, აღკვეთონ კლასობრივი მტრის ნაძირალების ჭორები, მოაწესრიგონ ტრანსპორტის მუშაობა, მტკიცედ დაიცვან ქვანახშირის ექსპლოატაციის წესები და ურყევად განახორციელონ ტექნიკური უშიშროების დაცვის ღონისძიებები.

ვალ. გაბუნია.

ვეხმაურებით მახარაძის რაიონის მოწოდებას

(ზუგდიდის რაიონი)

ჩვი ზუგდიდის რაიონის მშრომელთა ბედნიერი, საამური და კულტურული ცხოვრების მთავარი წყარო გახდა. ჩაის პლანტაციებს რაიონში 5800 ჰექტარი ფართობი უჭირავს. შარშან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 1237 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 1860 ტონა, რაც მოცემული გეგმის 108 პროცენტს შეადგენს.

ამჟამად ჩვენ ჩაის კრეფის ახალი სეზონის დაწყების წინაშე ვდგევართ. 28 აპრილს ჩვენი რაიონის მშრომელები მასობრივად დაიწყებენ ჩაის კრეფას პირველად აამოძრავებენ ჩაის ფაბრიკების დიდიხნის დასვენებულ როლერებს.

დიდი და უაღრესად პასუხსაგებია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები. მიმდინარე წელს სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას ჩვენმა რაიონმა უნდა მისცეს 2562 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან საკოლმეურნეო სექტორმა 1650 ტონა უნდა მოკრიფოს.

ჩაის საშუალო მოსავალი თვითეულ ჰექტარზე უნდა ავიყვანოთ 1457 კილოგრამამდე. პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა უნდა ავწიოთ 65%-მდე.

ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ მოცემული გეგმა გადავჭარბებით და მაღალი ხარისხით შევასრულოთ. მხოლოდ საჭიროა მონდომებული, განუწყვეტელი, ენერგიული და თავდადებული მუშაობა; საჭიროა ყველა კოლმეურნეობაში, ყველა ბრიგადასა და ჯგუფში ფართოდ დავნერგოთ სტახანოვური მოძრაობა, ჩაის კრეფის სტახანოველთა გამოცდილებაზე მასობრივად აღვზარდოთ ახალი ადამიანები, ჩაის კრეფის ოსტატები.

ჩვენ, ზუგდიდის რაიონის ჩაის სტახანოველები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, ბრიგადირები და აგროტექნიკური მუშაკები, რომლებიც შევეკრებენით ჩაის კრეფის სეზონის დაწყების წინ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განსახილველად, მხურვალედ ვესალმებით მახარაძის რაიონის ჩაის სტახანოველთა და აგროტექნიკური პერსონალის გამოწვევას და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1) სახემწიფოს ჩავაბარებთ 2562 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს, აქედან საკოლმეურნეო სექტორში 1650 ტონას, ხოლო პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა უნდა ავწიოთ 65%-მდე.

2) საუკეთესოდ მოვუვლით ჩაის პლანტაციების თვითეულ ბუჩქს, ზაფხულის მთელ პერიოდში პლანტაციებს გავთოხნით 4-5-ჯერ.

3) 2100 ჰექტარზე ჩავატარებთ კულტივაციას ხუთჯერ მაინც. ხოლო საჭიროების მიხედვით ექვსჯერაც.

4) თვითეული ბუჩქისადმი დიფერენცირებული მიდგომით გავანოყიერებთ 3249 ჰექტარს მინერალური სასუქით 100 ჰექტარს ორგანული სასუქით, 400 ჰექტარზე დავთესავთ სიდერატებს (მწვანე სასუქისათვის), ხოლო გეგმის ზევით ტორფით გავანოყიერებთ 50 ჰექტარს.

5) მოვამზადებთ ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად 210 ჰექტარს და გავაშენებთ ჩაის ახალ პლანტაციებს 190 ჰექტარზე.

6) მოვაწყობთ ჭარსაცავ ზოლებს 10 ათას გრძივ მეტრზე, გავაყვანთ ახალ სადრენაჟო არხებს 468660 გრძივ მეტრზე და შევაკეთებთ ძველ არხებს 1200 გრძივ მეტრზე.

7) სწორად მოვაწესრიგებთ შრომას, უზრუნველვყოფთ ჩაის ფოთლის განუწყვეტლივ კრეფას და არ დავუშვებთ ფოთლის გაუხეშება - დაკარგვას.

8) ჩაის მანიებზე მოვაწყობთ ფარდულებს, ჰებს, გავხსნით საუთსათო წერტილებს.

9) სანიმუშოდ მოვუვლით მოკრეფილ ფოთოლს და ჩავაბარებთ ფაბრიკებს დღეში სამჯერ.

10) ჩაის მკრეფავ ბრიგადებში ფართოდ გავშლით მასობრივ მუშაობას, სისტემატურად გამოვუშვებთ სველე გაზეთებს, მოვაწყობთ გაზეთების ხმამაღლა კითხვას.

ამოცანები დიდი და პასუხსაგებია. ამ ამოცანებს ჩვენ წარმატებით და სასახელოდ შევასრულებთ.

მიმდინარე წელი მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წელია, ამ წელს ჩვენ ვიზეიმებთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ, ზუგდიდის რაიონის ჩაის სტახანოველები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და აგროტექნიკური პერსონალი 1937 წლის ჩაის სამუშაოებს ეკახებით დიადი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის სახელობაში სამუშაოებად. ოქტომბრის 20 წლისთავს ჩვენ ვიზეიმებთ ჩაის ყველა სახის სამუშაოთა სამაყო მარჯენებლობით დამთავრებას, ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ კლასობრივი მტრის ნაძირალები პარტიისა და ხალხის მტრები—ტროცკისტულ-ზინოვიევური ნაბოლარები შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, შეეცდებიან ჩაგვიშალონ გეგმები. მაგრამ ამაოდ. ჩვენ, ისე როგორც აქამდე, მტკიცედ ვიცავთ ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით. ურყევად შევასრულებთ ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხ. ლ. ბერიას ყველა მითითებას, კიდევ უფრო ავამაღლებთ კლასობრივ - რევოლუციონურ სიფხიზლეს და ძირშივე აღმოვფხვრით კლასობრივი მტრის ნაძირალების ყოველგვარ ცდას.

მივესალმებით რა მახარაძის რაიონის ინიციატივას, ჩვენ, ზუგდიდის რაიონის სტახანოველები, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მახარაძის რაიონთან.

შეკრების ვიდ მოწაფილის დავალებით: ქრისტინა დარასელია, შურა ჯიქია, იასონ ჯანაშია, კამ. ოკუჯავა, ნინა ნაჭყებია, ლუშა შეროზია, ციცინო ბიგვავა, ალე ჩუხუა, კოწია ახალაია, გუგუ დიდიშვილი, შალიკო ჭითანავა, ლილი ნაჭყებია, კამა გუგუჩია, კუშნა გელენავა, კაისა თოდორაია, ნორა მესხია, კატო ფარცვანია, ვარვარა თოდუა, მაკარი ლაშხია და მელანია თოდუა.

თბილისის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ბაღში უკვე იღებენ კიტრის მეორე მოსავალს. სურათზე: უფროსი მებაღე გოგაძე და მებაღე კანკავა სათბურებში კიტრის მოსავლის აღებაზე.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ ხაზ. განყ.)

წერილები რედაქციას

დავზოგოთ მშრომელთა დრო

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

თბილისის რაიონის სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების გარჩევა მოქალაქეთა დროის დაუზოგავად სწარმოებს.

უწყების მიხედვით ყველას—მაძიებელს, მოპასუხეს თუ მოწმეს სასამართლო იბარებს 9 ან 10 საათზე.

ცხადია, სასამართლოს ყველა საქმის გარჩევა ერთდროულად არ შეუძლიან. მოქალაქე რამდენსამე საათს აცდენს საქმის განხილვის მოლოდინში.

ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებიან დაწესებულება-წარმოების რწმუნებულები (იურისკონსულტები), რომელნიც ავრეთვე საათობით ჰკარგავენ დროს ერთი რომელიმე რაიონის სასამართლოში.

სახალხო სასამართლოს გამომუშავებული აქვს ერთი მისაწესებელი წესი—საქმეების მოსმენა რიგის მიხედვით: ჯერ საალიმენტო. შემდეგ შრომისა, დაწესებულება-წარმოებათა სადავო საქმე და სხვა. მაგრამ ესეც ვერ უზრუნველჰყოფს დროის რაციონალურად გამოყენებას მოსულთათვის, რადგან არავინ იცის რამდენი საქმეა იმ დღეს გასარჩევი ან რომელ საათზე გაირჩევა ესა თუ ის საქმე.

ამგვარად, დღემდის არსებული წესი სახალხო სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე მოქალაქეთა თუ ორგანიზაციათა გამოწვევისა, გარდა იმისა, რომ დროს აკარგვინებს მშრომელებს და საქმეს აცდენს, — რაიონულ სასამართლოს მომცრო დარბაზებში თავს უყრის იმდენ დამსწრეს, რომ ხშირად ტეცაც არ არის.

ყველას ეჩქარება საქმის ადრე გარჩევა. უფრო გაბედულნი აწუხებენ სასამართლოს, რომ მათი საქმე ადრე გაირჩეს, მომთმენნი კი ჩუმად არიან. სასამართლოს შემადგენლობაც ნერვიულობს, ზედმეტად ღელის თავს წესრიგის დასამყარებლად.

განა არ შეიძლება, მსგავსად ნახელმწიფო არბიტრაჟისა, სახალხო სასამართლოშიც გამოძახება უწყებით აწარმოოს არა ერთსა და იმავე საათებში ყველასათვის, არამედ სხვადასხვა გარკვეულ საათებში.

შეიძლება ამ შემთხვევაშიც დაჩქარდეს ვისმე ლოდინი, მაგრამ ეს ლოდინი გაცილებით მცირე ხნის იქნება, ვიდრე ამჟამად არის.

ვფიქრობ, ამხანაგო რედაქტორო, ამით სასამართლოს მუშაობის ხარისხიც ამაღლდება და ამავე დროს სასამართლოში გამოცხადებული მოქალაქის უმთხნოდ დროის გაცდენსაც ბოლო მოეღება.

სიტყვა იუსტიციის სახალხო კომისარს ეკუთვნის!

ევგ. ნეიმანი.
დამცველთა კოლეგიის წევრი

მოუგნესრიგებელი საკითხები

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

მიწსაკომის მიწათმოწყობის სამმართველოს მიწათმოწყობნი, 200 კაცამდე, იგზავნებიან რაიონებში კოლმეურნეობებზე მიწის უვადო სარგებლობაში მისამაგრებლად და სახელმწიფო აქტების ჩასაბარებლად.

ამჟამად მიწათმოწყობის სამმართველოს მუშაობას ბევრი ისეთი რამ ახასიათებს, რასაც ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ესაჭიროება. აღვნიშნოთ რამდენიმე საკითხი:

სოფლად მიმავალ მიწათმოწყობებს წინასწარ უნდა მიეცეთ საათადო ინსტრუქციები, ნორმებისა და გადამუშავების ცხრილები და სხვ. ამ მასალით კი მიწათმოწყობნი დღემდე არ არიან უზრუნველყოფილნი.

სამმართველოს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება გეოდეზიური ხელსაწყო - იარაღები, ხოლო რაც არის, შემოწმებას და საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვს. ეს საკითხი დღემდე უნდა მოგვარებულიყო, რადგან მიწათმოწყობის ტექნიკური მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ხელსაწყოების ვარგისიანობაზე. მიწათმოწყობათა საველე მუშაობის კალენდარულ გეგმასთან ერთად უნდა სდგებოდეს თვიური შვებულების გეგმაც და ეს საკითხი უნდა წყდებოდეს არა ისე, როგორც ამჟამადაა: შვებულებას ან სულ არ იძლევიან, ან იძლევიან წლის განსაზღვრულ სეზონში — დეკემბერ - იანვარსა და თებერვალში; თუმცა მიწათმოწყობთა დიდმა უმრავლესობამ ვერც ამ ვადებში ისარგებლა გასული წლის შვებულებით.

მიწათმოწყობთა განაწილება საველე მუშაობის პერიოდში როგორც ადმინისტრატიულ თანამდებობებზე, ისე რიგითი საქმეებზე ჯეროვნად არ ხდება, რაც თანამშრომლებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მოუგვარებელია ხელფასის საკითხიც. ამ მხრივ ადმინისტრაციის წერილობით განკარგულებასა და საქმეს შორის ხრული წინააღმდეგობაა. წარსული წლის გადამუშავებები ზოგმა მთლიანად მიიღო, ზოგს კი ნახევარიც არ მიუღია და არც იცის, თუ როდის მიიღებს.

თუ ყველა ეს საკითხი დროულად არ იქნა გადაჭრილი, მიწათმოწყობთა მუშაობა ვერ გამოიღებს სათანადო შედეგებს. საჭიროა გამგზავრების წინ მოვიწვიოთ მიწათმოწყობთა საწარმოო თათბირი, კრიტიკულად განვიხილოთ და გადავჭრათ ყველა ეს მწვავე საკითხი. ამას მოითხოვს საქმის ინტერესი.

მიწათმოწყობნი: ქ. შალამბერიძე, პ. მეტრეველი, ნ. ფხალაძე, ალ. გვანცელაძე, ალ. მოსეშვილი.

დაუსწრებელი სწავლება

თბილისის დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის თურქული სექტორის ყოფილმა დირექტორმა მაშაკურ რაგომოვმა სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით დაუსწრებელთა უზრუნველყოფისათვის დახარჯა 130 ათასამდე მანეთი, მაგრამ დაუსწრებელთათვის არავითარი მასალები არ გაუგზავნია. ამ თაღლითობის გამო ინსტიტუტის თურქული სექტორი მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მთავრობის დადგენილება დაუსწრებელი განათლების შესახებ უხეშად დამახინჯდა. ამ გაფლანგვის დაფარვის მიზნით რაგომოვმა დაუსწრებელთა რიცხვი აიყვანა 450 კაცამდე ისეთ პირთა ხარჯზე, რომელნიც პედაგოგიურ დარგში არ მუშაობდნენ და არ ჰქონდათ საშუალო განათლება. ადგილებზე შემოწმებისას ნამდვილად აღმოჩნდა არა 450, არამედ 281 დაუსწრებელი. ინსტიტუტში დაუსწრებელთა პირადი მეურნეობა მოწესრიგებული არ იყო, მათ საჭირო დოკუმენტებს არ ინახავდნენ. საქართველოს განსახკომმა და ინსტიტუტის დირექციამ დაუჯერეს რაგომოვის ლამაზ და ცრუ სიტყვებს და ვერ შეამჩნიეს მისი ბოროტმოქმედება. მხოლოდ უკანასკნელ დროს ინსტიტუტში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა.

ცნობილია, რომ რაიონებში თურქული პედაგოგიური კადრების ნაკლებობა და მომზადებული გამოცდილი პედაგოგების დიდი საჭიროება. ასპინძის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორმა ჯღმი გაუკეთა მესამე მეოთხედს და აღნიშნა, რომ ამ სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზეა, არ არის პედაგოგთა კადრები. ადგილის რაიონის ბენარის პედაგოგიურ სასწავლებელში ერთი მასწავლებელი რამდენიმე დისციპლინას ასწავლის და, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ეს გახდა მიზეზი გაკვეთილების დაბალი ხარისხისა.

უფრო უარესი მდგომარეობაა დაწყებითსა და არასრულ საშუალო სკოლებში. ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში უმასწავლებლობის გამო ზოგიერთ დისციპლინას არ გადიან. მაგალითად, ყარაიის სრულ საშუალო სკოლაში უმასწავლებლობის გამო დახურეს მე-9 კლასი. ასეთი მდგომარეობის დროს არ შეიძლება უგულებელვყოთ დაუსწრებელი სწავლება.

აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელ სწავლებას მნიშვნელობას არ აძლევენ ყარაიის, ადიგენისა და ასპინძის რაიონები. ბენარის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორმა ამხ. სადიკოვმა არ მოაწყო 20—26 მარტისათვის დანიშნული კურს-კონფერენცია. ყარაიის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ჰუსეინ ალიევმა აგრეთვე ვერ შეაფასა ეს უმნიშვნელოვანესი მუშაობა და დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის სესიების დროს დაუსწრებლებს ნება არ მისცა თბილისში სესიაზე წასულიყვნენ.

საერთოდ, აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებანი ცუდად ხელმძღვანელობენ დაუსწრებელი განათლების საქმეს და მას სათანადო დახმარებას არ უწევენ. შორეული სოფლებიდან ჩამოსულ დაუსწრებლებს არ უზრუნველჰყოფენ ღამის გასათევი ბინით, დაუსწრებლებისათვის შექმნილი არ არის საჭირო პირობები: ჟურნალ-გაზეთები, ლიტერატურა და სხვ.

როგორც თბილისის დაუსწრებელმა პედაგოგიურმა სასწავლებელმა, ისე დაუსწრებელმა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ყველა არსებული ნაკლი უახლოეს დროში უნდა აღმოფხვრან. საჭიროა ბოლო მოეღოს განათლების ზემაღლნიშნულ რაიონული განყოფილებათა უპასუხისმგებლობას ამ დარგში. თბილისის დაუსწრებელი პედაგოგიური სასწავლებელი და დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი საზაფხულო სესიებს მომზადებულნი უნდა შეხვდნენ. საჭიროა სესიის წინ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება სესიების უზრუნველსაყოფად მასწავლებელთა კადრებით.

ა. ისმაილოვი

ვემზადებით საკუროროვო სეზონისათვის

(ქვიშხეთი)

ქვიშხეთი მშვენიერი საბაგარაკო ადგილია. იგი დამტკიცებულია საბავშვო კურორტად, და ხალხიც ბლომად ჩამოდის აქ დასასვენებლად. სოფელი უხვად არის დაფარული ფოთლოვანი და მარად მწვანე მცენარეებით.

მომავალი საბაგარაკო სეზონისათვის ამთავითვე გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა. გზების შესაკეთებლად კოლმეურნეობიდან გამოყოფილია სპეციალური საგზაო ბრიგადა, რომელიც უკვე შეუდგა გზების შეკეთებას და გზის პირებზე ცაცხვისა და აკაციის დარგვას.

მაბაგარაკეთა სურსათ -სანოვაგით მოსამარაგებლად ქვიშხეთის კოლმეურნეობა იკისრებს ხორცისა და მწვანილის სავაჭროებს.

ხაშურის სამომხმარებლო საზოგადოებათა რაიონული კავშირი სანოვაგით პირველ რიგში ქვიშხეთს დააკმაყოფილებს.

სასოფლო საბჭოს ეზოში მოეწყობა პავილიონი და გასართობები, რაზედაც დაიხარჯება 30.000 მანეთი. სოფლის გასასათბელად განზრახულია დინამომანქანის დადგმა. გაიხსნება აფთიაქი. ფართოვდება ფურნე, რომელიც მომხმარებელს საკმაო რაოდენობით მიაწოდებს გამომცხვარ პურს.

გ. დარსაველიძე.

პაველ იაშვილი

ახალი კოლხიდა

ლექსებიდან ციკლიდან

მიმართვა კოლხიდას

მოვდივარ შენთან, მოვდივარ ნატვრით
რაც გულში დამაშვს დიდი ხანია;
და სიყვარული მღელვარე მხატვრის
შენს მიწაწყალზე მომიტანია.

რა საჭირო ხშირად გიმღერო
ბედი, შავბედი გადასულ დღეთა;
როცა ლამაზო, დარბაისელო
წყაროს თვალივით წამოსულს
გხედავ.

მაგრამ წარსული ისე მძიმეა
რომ მისი კვალი გემჩნევა დღემდე;
ნეტა მას ვისაც გაუღიმია
თავდადებული ბრძოლების შემდეგ.

გულის სიღრმიდან დღეს მევალება
ვიყო მეტყველი შენი სიამის,
დილა ვადიდო ცისფერთვალება
და ამაღლება ადამიანის.

იქნებ ძნელია პოეტის ტვირთი
ჭაბატიანის თქმა არ მჩვევია,
მაგრამ მე ნალხის სიხარულს ვითვლი,
რაც შენ კალთებზე შემომჩენია.

ლექსად იქცევა რაც გამიტაცებს...
მე ვხედავ ხალხის შეტევას გმირულს.
შავ ჭაობიდან დახსნილ მიწაზე
ვხედავ ბალახის წვეტიან ფირუზს.

და ჭალებს, წითელ თავსაფრიანებს,
რომ უნარიათ ნადურში დგომა;
მაღლა წითელი დროშა ფრიალებს,
რომ გაანათოს კოლხიდის შრომა.

ვხედავ ჩემია შენი სამყარო,
და შენს გუშაგებს მეც ვეცილები,
რომ ერთი-ათად დღეს გავახარო
ჩემი ღარიბი ჩანგის სიმები.

ეს ჩემი გრძნობა კოლხიდამ იცის
და ისე მიმღერს ჩემი ქვეყანა,
როგორც უნაზეს მეგრელი ძიძის
შვილობილისთვის ნათქვამი ნანა!

ყორათი

უწინ განა მიწა იყო
ეს მთლიანი ბარდი?
ვინც კი ნახა, თან წაიღო
ამ ბუნების დარდი.

რა ვაცი არ გაამწარა,
დაუდუნა მაჯა;
ქვეშ ჭაობა, ცა ნაცარა
და მტირალა ყანჩა.

არც ნაკვეთი რიგიანი,
არც კრიალა ხრეში,
მძიმე ტანი დინგიანი
დასცურავდა ტყეში.

ჭარში უფრო მწარედ კვნესდა
ეს ნაძრახი ჭალა,
ეშინოდა კაცს ამ ტყეშთან
წვიმიანში ჩავლა...

არც სიმღერა, არც კეთილი
გამარჯვება სადმე;
ხავსი როგორც დაწყვეტილი,
დაფლეთილი ბადე.

ვინ ნაბავდა ფერად ნებილს
ამ დაბლობში მაშინ,
ან გულღია ბეჭდით გლების
მუშაობას ბაღში.

ვინ ისმენდა, ვინ ნაბავდა
ტკბილ ჩანგურის სიმებს,
ამ ჯოჯოხეთს ვინ ახადა
ეს სუდარა ძიძე?

შორს ბოლოში რომ ანთია
მშობლიური დროშა,
ეს ახალი ყორათია,
ეს სოფელი მესხანს.

რიონი იცვლის კალაპოტს

თუ მოდიოდა შავსილიანი,
მან ნაპირები აღარ იცოდა,
არ ხმაურობდა, მაგრამ ზრიალი
იმის წიაღში მაინც ისმოდა.

იყო რიონი თავზარდამცემი
მღვრიე, მდორე და ხმა გაკმენდილი...
როგორც ავდარში ყანა ნაცელი
იყო ნაპირებ გადახვეტილი.

ჩამოიგლიდა მრისხანე რუხად,
ხეებს, ტევებს და ხალხს იტაცებდა;
შეუდგებოდა ფეხვებში მუხას
და როგორც ასკილს ისე დასცემდა.

შემდეგ განაბულ ფოთის ნაპირებს
გადალახავდა, შიშით არევდა,
დაულიწიდა ხიდებს, სატევეს
და ბორანს დროზედ წაიმძღვარებდა.

ომს დაიწყებდა დაბალ სანლებთან,
რომ მოეტაცა მათი მშვიდობა:
ჩითის ჩვარივით კედელს გახევდა
და იატაკზე გადაივლიდა.

იდგა ჭალაში სილიან ტბორში,
მისჩერებოდა ზეცას ავდრიანს...

კოლხიდის გულო, გეყოფდა, მორჩი
უკანასკნელი წელიწადია,

რაც გემუქრება შავი რიონი
შენს გადალექს რომ აპირებდა,
უკვე რიონის ერთი ფიორი
წყალიც არ მოვა შენს ნაპირებთან.

უკუქცეული და შეზღუდული,
მიდის და მიაქვს თავის საბანი,
წელზე დაადვეს მძიმე ურდული
გაუტეხელი რკინის ჭამარი.

უკვე მზადა აქვს სხვა ჯალაპოტი,
ის შორი გზიდან გადავა ზღვაში...
რა დიდი წვიმაც მოვიდეს მთაში
ანალგაზრდობა, მაინც გამოდი.

იქ, სადაც დარჩა ვით ნაკვალევი
ყოფილ რიონის გამშრალი ბუდე,
აქ თქვენ იხილავთ თქვენი თვალებით
და თქვენ მოუნდით ზეიმით ქუდებს —

ზღვას, რომ შემოვა პატარა ტოტით
ისე ხალისით და ისე ტკბილად,
როგორც კოლხიდის ბაღებში მოდის
მტრედის გუნდივით ცოცხალი დილა.

ებრაელების დასახლება კოლხიდაში

არ გახარებდა ღარიბი გეტტო,
არ გიცხოვრია სულის მშვიდობით;
ბუნრის მაგიერ სანთელი გენთო
და ლოცვების წინ თითებს ითბობდი.

მოიწადინე — დგებოდა უკან
მშობელი ხალხის წამება წინად...

ლამით პატარა, სანავთე დუქანს
გადააქცევდი დილამდე ბინად.

და დილით საწყალ ქონების გუშაგს
გიცქერდა ყველა ტანჯული სახით,

კალთას ახევდი საეჭვო მუშტარს,
რომ პირველ სიფთით გაგეღო დახლი.

ჩამოგივლიდა მეტოქე ჭორად,
თვითონ ღარიბი, და ნიშნს გაგებდა,
მაგრამ საღამოს მდუმარე თორა
დილამდე თითქოს შეგარიგებდათ.

წვრილი შეილებით აგსილი კაცი
წლიდან-წლობამდე ცხოვრობდა ასე
და ბედნიერი იყავ თუ მაცით
გაითენებდი ოჯახში პასექს.

გაიჯერებდა ტირილით თვალებს
თუ მოკვდებოდა ვინმე მოყვასი,
რომ გაგონებდა წამებულ მხარეს
შენ ქადაგება იელოვასი.

თითქოს ქონები დაეხრა წანდარს,
ისე ეყარა თქვენი უბანი;
ცას შესცქეროდა ღარიბი განძა,
მაგრამ ცა იყო მისთვის უბარი.

ველარ გიშველა ცისკრის ლოცვებმა;
შენ მაშინ ნახე ზეცა გაშლილი,
როცა ასრულდა დიდი ოცნება
შენივე იცქა რიენაშვილის.

სიჭაბუკეში მოკლული კაცი
ნათელი სახით დღეს გესახება
და მის მწუხარე ფილის დაცლის
დღეს კოლხიდაში გადასახლება.

თექვსმეტი წელი შენთვის გავიდა
როგორც ნანატრი მშვიდობის ხანა.
იწყე ცხოვრება ისევე თავიდან
ლხინზე გეძახის ჩემი ქვეყანა.

წინ წაუძეხი მხიარულ სახით
ახვენე მამებს სანახაობა,
ნიჭიერ ხალხის, საყვარელ ხალხის
დღებედნიერი ახალთაობა.

აღგა, დაიძრა შენი სოფელი,
დასტოვა მწარე ბედის ხსენება;
თქვენს სულს აანთებს მიწა მშობელი
და ზედ მოსავლის აღმოცენება.

ბუნება თავის სიხარულს გახლის
და გზაც გეშლება საფიანდაზო
ნიჭიერ ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი კოლხიდის პირველო რაზმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ჯავახაძის ბიუსტი

ფოტო: ხალ. რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკე, ორდენოსანი იაკობ ნიკოლაძე

ფოტო ნ. აკოფოვისა

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთერთმეტე ტური

დასაწყისში ბრძოლა ისე მიმდინარეობდა, რომ მოსალოდნელი იყო — მეთერთმეტე ტური მშვიდობიან შედეგებს მოგვცემდა.

უკვე მეთექვსმეტე სვლაზე რაგოზინი და გოგლიძე მეტად გართულებულ მდგომარეობაში, სადაც გოგლიძეს ზედმეტი პაიკი ჰყავდა, ყაიმზე შეთანხმდნენ.

ებრალიძემ თეორებით პოლანდიური პარტიაში კოხსტახტინოპოლსკის წინააღმდეგ დებიუტშივე შესწირა მოწინააღმდეგეს პაიკი, რის შედეგად მიიღო ძლიერი მხედარი, რომელიც ავიწროვებდა მოწინააღმდეგის ფიგურებს. მეტად გამწვავებულ მდგომარეობაში ებრალიძემ გააკეთა ხადრევი სვლა ლაზიერით და მეცხრამეტე სვლაზე სვლების განმეორებით მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე ლილიენტალ-კანის პარტია, სადაც მოწინააღმდეგეებმა მთელი თამაში ფიგურათა გაცვლას მოანდომეს.

ილინ-ჟენევსკიმ მაკაგონოვის წინააღმდეგ უკვე დებიუტში მოიგო პაიკი, რაც მან პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა. გართულებულ მდგომარეობაში ჯერ ერთს, ხოლო შემდეგ მეორეს მიეცათ საგრძნობი უპირატესობის მიღების შესაძლებლობა, მაგრამ ეს ვერცერთმა ვერ გამოიყენა და პარტია ყაიმით დასრულდა.

სხვა სურათი გადაშალა დანარჩენ დაფებზე. კასპარიანმა ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი ოუდოვიჩის წინააღმდეგ, რის შედეგად მოწინააღმდეგის მეფეზე იერიშის მიტანის შესაძლებლობა მიიღო. იუდოვიჩმა ამას დაუპირისპირა თამაში ლაზიერის ფრთაზე, სადაც აშკარა უპირატესობა მის მხარეზე იყო. კასპარიანი იძულებული გახდა დროებით მიეტევებინა მეფის ფრთა და ლაზიერის ფრთისათვის ეზრუნა. იმის მაგივრად, რომ იუდოვიჩს ლაზიერის ფრთაზე დაძაბული მდგომარეობა შეენარჩუნებინა, იგი წავიდა მდგომარეობის გამარტივებაზე, რაც დიდი ტაქტიკური შეცდომა იყო. ლაზიერის ფრთაზე ბრძოლის მოთავების შემდეგ კასპარიანის უპირატესობას მეფის ფრთაზე წინ ველარაფერი დაუდგებოდა და მან ძალე გამარჯვებას მიაღწია.

ლისიცინმა ლევენფიშის წინააღმდეგ უყურადღებობის შედეგად დებიუტშივე წააგო პაიკი. ამის შემდეგ იგი შეეცადა დაკარგული პაიკის საკომპენსაციოდ ინიციატივა გამოეგლიჯა მოწინააღმდეგის ხელიდან, მაგრამ უნაყოფოდ. ლევენფიშმა ძლიერი თამაშით მალე აიძულა იგი დათმო პარტია.

საინტერესოდ ვითარდებოდა ბონდარევსკი-რაუზერის პარტია. მდგომარეობის გართულებისა და საშიშთო იერიშის მიღების მიზნით პირველი წავიდა პაიკების შეწირვაზე. ერთხანს რაუზერი საუკეთესოდ იცავდა თავს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შესცდა, რითაც მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა მისცა ეტლის შეწირვით პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

ბუდომ ძლიერად ჩაატარა პარტიის პირველი ნახევარი რაბინოვიჩთან და მიიღო კიდეც ღარკვეული უპირატესობა ლაზიერის ფრთაზე. შემდეგ ახგარიში არ გაუწია იმ ძირითად დებულებას, რომ ფრთებზე თამაში მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ცენტრი გაქვს გამაგრებული. ამით საუკეთესოდ ისარგებლა რაბინოვიჩმა, შესწირა მოწინააღმდეგეს პაიკი ჯერ ცენტრში, შემდეგ კი მეფის ფრთაზე. შეიპყრა ფიგურებით მოწინააღმდეგის ბანაკში და გამარჯვებას მიაღწია.

პანოვ-ალატორცევისა და ჩეხოვერ-ბელავენეცის პარტიები გადაიდო პახუისა და ბელავენეცისათვის უპირატეს მდგომარეობაში.

მეთორმეტე ტურის შედეგები

მეთორმეტე ტურმა პირველი დამარცხება მოუტანა გოგლიძეს და რაგოზინს. პირველი დამარცხდა ბუდოსთან, ხოლო მეორე პანოვთან. ამრიგად, ჯერჯერობით დაუმარცხებელი დარჩა კიევის ჩემპიონი კონსტანტინოპოლსკი.

მაკაგონოვმა ძლიერი თამაშით გაიმარჯვა კანთან.

ლილიენტალმა წააგო რაუზერთან, ებრალიძემ—ბელავენეცთან.

რაბინოვიჩ-ბონდარევსკის, ილინ-ჟენევსკი-კასპარიანისა და იუდოვიჩ-ლევენფიშის პარტიები ყაიმით დასრულდა.

რთული თამაშის შემდეგ ლისიცინ-ჩეხოვერის პარტია გადაიდო გამოურკვეველ მდგომარეობაში.

ალატორცევ - კონსტანტინოპოლსკის პარტია პირველის ავადმყოფობის გამო გაუთამაშებელი დარჩა.

მეთორმეტე ტურის შემდეგ წინ არიან: **ლევენფიში+8, იუდოვიჩი+7½, მაკაგონოვი+7** (1 გად.), **გოგლიძე** და **ბონდარევსკი+6½.**

დღეს, 29 აპრილს მეცამეტე ტურში ითამაშებენ: **რაგოზინი-ალატორცევი, ბუდო-პანოვი, ბონდარევსკი-გოგლიძე, ლილიენტალი-რაბინოვიჩი, მაკაგონოვი-რაუზერი, კასპაროვიანი-კანი, ლევენფიში-ილინ-ჟენევსკი, ჩეხოვერი-იუდოვიჩი, ებრალიძე-ლისიცინი და კონსტანტინოპოლსკი-ბელავენეცი.**

ახალი დანიშვნები

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით დანიშნული არიან:

საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—ამხ. **ნიკოლოზ იაკობისძე ბოკუჩავა;**

საქ. ცაკის საქმეთა მმართველად—ამხ. **მიხეილ ნიკოლოზისძე აჯიბეგაშვილი.**

140 წლის მოხუცი

მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძეში ცხოვრობს 140 წლის მოხუცი ამბაკო კვირიჩილაძე. კვირიჩილაძე თავს კარგად გრძნობს. მხედველობა კარგი აქვს. ეზოში ბაღს უვლის და საკუთარი შრომით ცოტაოდენი ჭირნახულიც მოჰყავს.

კვირიჩილაძე მხიარული მოხუცია. უყვარს ახალგაზრდობა და ხშირად მოუყვება მათ წარსულის მწარე ამბებს.

— დღეს დიდ ბედნიერებას მოვესწარი. კარგად ვცხოვრობ, — ამბობს მოხუცი, — ჩემი ბადიშები უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ.

კუშკინის გამოფენა
31 ათასმა კაცმა ნახა

პუშკინის საიუბილეო გამოფენა თბილისში 2 თვის განმავლობაში, რაც ეს გამოფენა არსებობს, 31.000 კაცმა ნახა.

უკანასკნელ დროს გამოფენის სანახავად ეწყობა ბევრი ექსკურსია, განსაკუთრებით მოსწავლეთა ექსკურსიები რაიონებიდან, სულ გამოფენა დაათვალიერა 230 ჯგუფმა გორიდან, ახალდაბიდან, ხაშურიდან, დუშეთიდან, აგრეთვე ერევნიდან, კიროვაბადიდან და სხვ. ქალაქებიდან.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოფენა დაათვალიერა ცნობილმა ავსტრიელმა მეცნიერმა-ქალდეოლოგმა პროფ. კ. ლემან-ჰაუპტმა და თავისი შთაბეჭდილება ჩასწერა მნახველთა წიგნში.

ჩვენ გვწერენ

მოვითხოვ სიმართლის აღდგენას!

1933 წლიდან 1936 წლამდე, სანამ წითელ არმიაში ვმოწვეულვიყავი, ცხაკაიის რაიონის ტეტურის რაიმის საბჭოთა მეურნეობაში გმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე, სხვათა შორის — საწყობშიც. მეურნეობის დირექტორი კ. აფხაზავა იყო. ის ძალიან თვითხელობდა, სახელმწიფო ქონებას ანიავებდა. მეურნეობის მდგომარეობის გამოსაკვლევად ჩამოსულ კომისიის მოვახსენე, რაც ვიცოდი დირექტორის მუშაობის შესახებ. იგი სასჯელს ვერ ასცდა, მაგრამ ჯავრი ჩემზე იყარა. დაპატიმრებას, მოკვლას მემუქრებოდა. სახლშიც მომთვარდა რევოლვერით. ეს ამბავი პარტიის რაიკომსა და რაიპროკურორს ვაცნობე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია, უბრალოდ ვთქვა, რომ კ. აფხაზავას მიერ შეთვალთვებული თაფლი და შეშა უფრო ნუგბარი, ვიდრე ჩემი სიმართლე.

1936 წლის ივნისში შევბრუნდი მერგო. მალე წითელ ჯარში უნდა წავსულიყავ, სანამ წასვლას წინ საწყობი სხვისთვის უნდა გადმებარებინა. გაუფორმებელი საბუთები დაკეტილ ოთახში დატოვე და შვებულებაში წავედი. ჩემი არ ყოფნის დროს აფხაზავას ოთახი გაუტეხია, ეს საბუთები გამოუტანია და სოფლახო ნივთებიც წაუღია. მათგან რეზინის ჩექმა, ქალის კალოშა, ჩემი და ცოლის ტანსაცმელი, ახლაც არა მაქვს მიღებული.

აფხაზავამ ეს არ მაკმარა. დამიკავა 640 მან. რაც აუღებელი დამრჩა და წამართვა ერთ ჰექტარზე მოწეული სიმინდი, 80—90 ფუთამდე. თურმე იგი მე მაბარებდა მეურნეობის დანაკლისს. მე კი შემიძლია დავამტკიცო, რომ ამ საქმეში არაფერი ბრალი არ მიმიძღვის. მიგმართე რაიპროკურორს, პარტიის რაიკომს, რესპუბლიკის პროკურორს, მაგრამ არავინ დამეხმარა. რაღა? რა დავაშავე?

ამჟამად წითელარმიელი ვარ. სახლში ცოლშვილი მყავს. უნდა მეხმარებოდნენ, რომ მათ მოუვლარ და ხელს კი მიშლიან. მოვითხოვ სიმართლის აღდგენას!

წითელარმიელი ტარ. ზარანდია

ქუჩას ხურაენ

ჩხიკვაძის ქუჩით (თბილისი, ლენინის რაიონი) დიდძალი ხალხი უკავშირდება ჩოდრიშვილისა და საბჭოს ქუჩების ტრამვაის ხაზს.

მიუხედავად ამისა, ლენინის რაიონის ამ ქუჩის ერთ ბოლოში სარძევე სამზარეულოსთვის შენობის აგება გადასწყვიტა და შენობისათვის ადგილი ისე დაგეგმა, რომ იხურება ჩხიკვაძის ქუჩის ერთი ბოლო, რომლის გაგრძელებას საშიალოს ქუჩა წარმოადგენს.

ლენინის რაიონი არც ისე მშიდროდ არის დასახლებული, რომ ერთი პატარა შენობის ასაგებად ქუჩის დახურვა აუცილებელი იყოს.

ლენინის რაიონის ამ მოქმედებით უკმაყოფილო მოსახლეობამ კოლექტიური განცხადებით მიმართა ქალაქის საბჭოს. იქიდან კი დღემდე პასუხი არ სჩანს. ხოლო „თბილმშენმა" მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.

საჭიროა ვიდრე გვიან არ არის ამ საქმეში ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნიორაძე ჩაერიოს.

გ. ხენგავა.

თირის მაღაროები

წითელქალაქში (ასპის რაიონი) ორნახევარი წლის წინათ დაიწყეს მუშაობა თირის ქვაზე (ტუფი). აქ ოთხნაირი საშენი ქვა ძოიპოვება. მრავალი ავტომანქანა ეზიდება ქვას, ნაწილს მეტების სადგურისაკენ, ნაწილს გრაკალისაკენ. სადგურ მეტებში აუცილებელია ბაქანის აშენება, რომელიც დიდად გააიაფებს ვაგონების დატვირთვას. მაშინ მანქანიდან ქვას დასცლიან ამ ბაქანზე და აქედან ჩატვირთავენ ვაგონებში. ახლა მანქანიდან ქვას ჰყრიან მიწაზე, შემდეგ კი ტვირთავენ ვაგონებს. ეს დიდ ხარჯებს იწვევს და აძვირებს ქვას. თუ ახლა ვაგონის დატვირთვა 50 მანეთი ჯდება, ბაქანის აშენების შემდეგ იგი დაჯდება 25—30 მანეთი.

გრაკალში არის სახერხი ქარხანა, რომელიც სწრაფად ხერხავს და ამზადებს კუბურ ბლოკებს. ამის შემდეგ ბლოკებს გათლა და გასუფთავება არ სჭირდება, რაც ააღვილებს შენობის აგებას. ჩემი აზრით,ეს ქარხანა უნდა გადაიტანონ წითელ ქალაქში, ქვის მადანთან ახლოს, აქ ქვა უნდა მოიჭრას ფოლადის ლარის ხერხით და ზომაზე დაიხერხოს ამავე ქარხანაში. ეს, ჯერ ერთი, დაზოგავს თვით თირის მადანს და, მეორე კუბმეტრ ქვაზე შეამცირებს ხარჯს 8 მანეთით. ამით ქვა გაიაფდება.

გეოლოგი გ. მურადიანი

თავდაცვა-ავიაქიმის საღამოური ბილეთების რეალიზაცია

საქართველოში თავდაცვა - ავიაქიმის მე-11 ლატარიის ბილეთების რეალიზაცია აპრილში უნდა დამთავრდეს. მაგრამ აპრილი უკვე ილევა და სალატარიო ბილეთების რეალიზაციას კი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჯერ არ შესდგომიან, თუმცა ლატარიის ბილეთებზე მოთხოვნილება დიდია ყველა რაიონში და თვით ლატარიაც მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თავდაცვა - ავიაქიმის რაისაბჭოებმა დროულად მიიღეს ლატარიის ბილეთების გარკვეული რაოდენობა, სალატარიო კომიტეტმა მათ სათანადო მითითებებიც მისცა, დასახმარებლად ხალხიც გაუგზავნა, მაგრამ თავდაცვა-ავიაქიმის ზოგიერთი რაისაბჭოს ხელმძღვანელები მაინც უმოქმედობას იჩენენ.

თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში და სალატარიო კომიტეტში არაფერი იციან იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია იმ ბილეთებს, რომლებიც მიიღეს ზუგდიდის, ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, თიანეთის, საგარეჯოს, ლებსულადის, დუშეთისა და წალკის თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებმა. სალატარიო კომიტეტის ცნობებით, 23 აპრილისათვის დასახელებულ რაიონებში სალატარიო ბილეთების რეალიზაცია დაწყებულიც არ იყო. ლაგოდეხის რაიონში კი ამავე რიცხვისთვის გასაღებული იყო ბილეთების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი—3 პროცენტი. ლაგოდეხის რაიონს მსგავსად ჩამორჩენილი არიან საგარეჯოს და თბილისის რაიონები. სალატარიო კომიტეტში ბილეთების რეალიზაციის ჩაშლისათვის ბრალსა სდებენ: ამხ. გლ. ფარცვანიას (ზუგდიდი), გიორგი რატიანს (ზემო-სვანეთი), დავით ზურაბიანს (ქვემო-სვანეთი), ვლასი ხინთიბიძეს (ქუთაისი), აღექსი ფიცხელაურს (ყაზბეგი), გრიგოლ შენგელაიას (თიანეთი), გიორგი ვართანოვს (საგარეჯო), გ. მუშკუდიანს (დუშეთი), ლეონ იორდიანიდის (წალკა), აღექს. ხერხეულიძეს (თბილისის რაიონი) და სოხუმელს (ლაგოდეხი).

არც წერილობითმა მითითებებმა და არც ცოცხალმა ინსტრუქტაჟმა (მუშაკების სპეციალურად მიგზავნებამ) გავლენა არ მოახდინა ჩამოთვლილ ამხანაგებზე.

მაგრამ ამათ გვერდით არიან ისეთნიც, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დავალებები და დროულად დაამთავრეს სალატარიო ბილეთების რეალიზაცია. მთელ რესპუბლიკაში ბილეთების რეალიზაცია პირველმა დაამთავრა ამბროლაურის რაიონმა (თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლეან ჭელიძე). 23 აპრილისთვის ბილეთების რეალიზაცია დამთავრებული იყო ახალქალაქის, ბორჯომის, ახალციხის, სოღნადის, მარტვილის, ყარაიას, ორჯონიკიძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. თბილისშიაც არა გვაქვს კარგი მდგომარეობა. 23 აპრილისათვის დედაქალაქში გასაღებული იყო 82 პროცენტი ძათვე მოთხოვნით გადაცემული ბილეთებისა. თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებს რამდენიმე დღე და დარჩათ ბილეთების გასასაღებლად. თუ ეს ამოცანა რაისაბჭოებმა ვერ შეასრულეს დროსეულად, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მოუხდება დასვას საკითხი ჩამორჩენილი რაისაბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ო.-დენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

29-IV — ჩიო-ჩიო-სან

30-IV — სიმფონიური კონცერტი დირიჟ. სენტერი, სოლისტი — ბრენერი

დასაწყისი 8 ს. ½0 წ.

ლენინის ო.-დენოსანი რუსთაველის თეატრი

29 IV — ალკაზარ

30 IV — კლაჯონ კრეჩეტი

დასაწყისი საღ 8 საათზე.

3/V-დან წარმოდგენების დასწყ. 8½ ს.

სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

29-IV — ვერაგობა და სიყვარული

30-IV — ფაუნვე ოვეხუნა

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს სახალისო წარმოდგენები თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30

დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30

კომკავშირელი 6, 7-40, 9-20, 11

რ. ლიუბ. სახ. 5, 7, 9, 11

26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30

დადგმის ოპერეტ. კვირა ახალი ხმოვანი ფილმი **გალატიკის დეპუტატი**

ჩაილ ჩაპლინი ხმ. სურათში **დიდი ქალაქის ჩირაღდნები**

დადიმის მე-2 კვირა ახალი ხმოვანი ფილმი **ტომ ხოუერი**

უკანასკნელი დღეები ახალი ხმოვ. ფილმი **გალატიკის დეპუტატი**

ხმოვ. ფილმი **პარიზის რიტრაჟი**

ესპანეთის ამბები ძე-16 გამოშვ. საუკეთესო კოცონი ხმოვ. ჟურნალი № 15

ახალი ამბები.

დღეს, 29 აპრილს,
მრავალფეროვანი სატირო პროგრამა და ფრანგული პრემიერა
ჟილ პობის
ატრაქციონის მე-60 დღე ჟილ პობის 3 წყვილი
1—უკანასკნელად ჟილ პობა შედეგად ს. ვერდენი — ყ. მუსტაფა
2—პ. ზაგორუიკო — მახნაზაროვი. 3—ვ. გომოზოვი — მ. მაჩაბელი
წარმოდგ. დასწყ. 8 ს. 30 წ.
ჟილ პობის — 10 ს. 30 წ,
სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

სახლისრკი
ტელ. 3-11-44
30 აპრილს წარმოდგენა დღეისთ
დასაწყ. 2 ს.
ფასები შემცირებულია 50 პროც.

ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს" გუნდების შეკვიბრება 27 აპრილს.

ხურათზე: ლენინგრადელი მეკარე კუზმინსკი ბურთს ელის.

ფოტო ხელაშვილისა

შვანგისტთა საკავშირო შეჯიბრებაზე
გ. პოპოვმა დაამყარა ოქრო მსოფლიო რეკორდი

27 აპრილს, ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო საკავშირო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში. პირველობის ჯათამაშებაში მონაწილეობას იღებს კავშირის სხვადასხვა კუთხის 37 გუნდი, რომელთა შემადგენლობაშიც საუკეთესო ძალოსნები შედიან.

მონაწილეთა აღლუმზე მწყობრად გამოვიდა 150 საუკეთესო სპორტსმენი. საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სახელით შტანგისტებს მიესალმა შეჯიბრების მთავარი მსაჯი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ბუხბარდი. საქართველოს ფიზკულტურისა და ათორტის საქმეთა კომიტეტის სახელით მისალმა ხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩიკვაიძე. მონაწილეთა სახელით სიტყვა სთქვა კავშირის უძლიერესმა შტანგისტმა ბოტომმა. მან პირობა მისცა დამსწრეთ, რომ საბჭოთა კავშირის შტანგისტები დაეუფლებიან ყველა მსოფლიო რეკორდს.

იწყება შეჯიბრება. მჭატე წონის 25 მონაწილე ეჯიბრება ერთმანეთს. ორი ხელით აჭიმვაში საკავშირო რეკორდი (86,3 კგრ.) უკრაინელ კასიანიკს ეკუთვნის. პირველობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან კასიანიკი და ლაპიდუსი (ბელორუსია). კასიანიკი უფრო ძლიერია. მის ელასტიკურ მოძრაობას უფრო კარგი ნაყოფი მოაქვს. ლაპიდუსმა ვერ სძლია სიძნიძე და გამოვიდა შეჯიბრებიდან. კასიანიკი ცდილობს საკავშირო რეკორდის დაყარებას. შტანგზე 87,5 კილოგრამია. ეს წონა აღიმატება საკავშირო რეკორდს. დახელოვნებულმა ტექნიკოსმა კასიანიკმა დასძლია შტანგის სიძნიძე და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

ამავე მოძრაობაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ხაჩაპურიძემ, რომელმაც თავისივე რეკორდი სამი კილოგრამით გაუმჯობესა. მან დასძლია 78,5 კგრ.

იწყება ორი ხელით აგლეჯა. ეს მოძრაობა ტექნიკის მხრივ უფრო დიდ ხელოვნებას მოითხოვს, აქ გარდა ფიზიკური ძალისა საჭიროა მოქნილობა და სისწრაფე.

ამ მოძრაობაში (მჭატე წონის ძალოსნებისათვის) საკავშირო რეკორდი კასიანიკს ეკუთვნის (87 კგრ.). ლიდერობა ისევ კასიანიკს დარჩა. მან მოხდენილად „აგლიჯა" 88,6 კგრ. სიმძიმის შტანგა და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

იწყება სამჭიდის უკანასკნელი მოძრაობა (ორი ხელით აკვრა). ამ მოძრაობაში საკავშირო რეკორდი — 115,05 კგრ. — ბელორუს ლაპიდუსს ეკუთვნის. ლაპიდუსმა ვერ სძლია 113 კილოგრამიანი სიმძიმე და გამოვიდა შეჯიბრებიდან.

იწყება ხანგრძლივ მსუბუქ წონის ძალოსნების შეჯიბრება. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უკანასკნელმა ორმა მოძრაობამ. ამ წონის კატეგორიაში პოპოვი ყოველგვარი კონკურენციის გარეშეა. შტანგის ორი ხელით აგლეჯაში მსოფლიო რეკორდი პოპოვს ეკუთვნის (105,1 კგრ.). მისი უახლოესი პრეტენდენტი გერმანელი ვალტერია, რომლის საუკეთესო შედეგი 96,5 კგრ. უდრის. პოპოვმა თავისი გამოსვლა 96 კგრ. დაიწყო. შტანგას თანდათან წონა მოემატა და მალე მიაღწია 106,1 კგრ. ეს მსოფლიო სარეკორდო წონაა. პოპოვმა ელასტიკური მოძრაობით სძლია ეს სიმძიმე. დამსწრენი ოვაციით შეხვდნენ ახალი მსოფლიო რეკორდის დაყარებას.

დაიწყო ორი ხელით აკვრა. ამ მოძრაობაშიაც მსოფლიო რეკორდი პოპოვს ეკუთვნის. იგი 135 კგრ. უდრის. მის შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვს ავსტრალიელ რიხტერს (126 კგრ.). პოპოვმა შეჯიბრება მაშინ დაიწყო, როცა სხვა მონაწილეებმა დაამთავრეს იგი. შტანგის სიმძიმემ მალე მიაღწია 136 კგრ. პოპოვმა ადვილად სძლია ეს სიმძიმეც და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

დღეს შეჯიბრების უკანასკნელი დღეა. პირველობა ჯათამაშდება ნახ. მძიმე და მძიმე წონის ძალოსნებს შორის.

თ. ფურცელაძე

მემთხვევები

ტყავის არალეგალური სახელოსნო

მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ტყავის არალეგალური კუსტარული სახელოსნო. მას განაგებდნენ პ. ნერსესოვი, მ. კასუმოვა და მ. საფაროვა (მიასნიკოვის ქ. № 91). გაჩხრეკის დროს მათ აღმოუჩინეს 11 გამოყვანილი ტყავი და ტყავის გამოსაყვანი ხელსაწყო-იარაღები.

მილიციის ამავე განყოფილებამ კიდევ ერთი ასეთი სახელოსნო აღმოაჩინა გ. სარქისოვის ბინაზე (სიონის ქ., № 11). სარქისოვს 22 ტყავი უპოვეს.

როგორც დადასტურდა, ეს „შინამრეწველო" დაკავშირებული ყოფილან პარტყავის მაღულად დამკვლელებთან, რომლებისგანაც იღებდნენ ნედლ ტყავებს.

ალმოჩენილ ტყავებს კონფისკაცია უყვეს. არალეგალური სახელოსნოების მფლობელნი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პარტკალენდარი

29 აპრილს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა არ შესდგება. მორიგი მეცადინეობა დანიშნულია 3 მაისს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიის საქართველოში წინადადებას აძლევს ამხანაგებს: ივანე ტარასის-ძე სანებლიძეს, ნაუდენ გიორგის-ძე ტოტორიას, ამბაკო ალექსანდრეს-ძე შარაბიძეს და სტეფანე ტროფიმეს-ძე ნოსენკოს გამოცხადნენ ამხ. ბილიხოძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი № 46).

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი აცნობებს: საკანდიდატო ბარათი № 0712561, გაცემული ლაგოდეხის რაიკომის მიერ პარტიენ მარკოზის-ძე ყაველაშვილის სახელზე, დაკარგულად და ჩათვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორ განიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 3 მაისს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია

XVII რაიონული პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი: 1. რაიკომის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის და თბილისის XVI პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბარ. მუშიშვილი**

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აცხადებს

რომ 1937 წ. 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ინსტიტუტის კლუბში დანიშნულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას დაიცავენ:

1. ინჟ. რაფიელ რაფიელის-ძე დვალი თემაზე: „მოტომავლის წევის ანგარიშის მეთოდი", ოპონენტები: პროფ. კ. ამირაჯიბი და პროფ. ი. ვაწაძე.

2. ინჟ. ვ. ვ. მახალდიანი თემაზე: „შიდა წვის ძრავი რგოლისებური ცილინდრით", ოპონენტები პროფ. კ. ამირაჯიბი და პროფ. ი. ვაწაძე.

3. შოთა ისიდორეს-ძე პატარაია თემაზე: „სხვადასხვა ინსექტიციდების გავლენა ჩაის ტილზე და ჩაის ხარისხზე", ოპონენტები: პროფ. ფ. ზაიცევი და პროფ. ლ. კალანდაძე.

შრომების გაცნობა შეიძლება პროფ. კ. მოდებაძესთან.

56 სახ.-სამ. ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ან. გუაჩიძე.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის
საბჭო იუწყება,

რომ მის საჯარო სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. 14 მაისს, საღამოს 8 საათზე, ანატომიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (კამოს ქ. 51) ასისტენტი გიორგი ბახტაძე „ლეიდენ-ვესტფალის მწვავე ატაქსიის პრობლემისათვის". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. ს. ჯიფშიძე, პროფ. მ. წინამძღვრიშვილი და დოც. პ. ქავთარაძე.

2. 14 მაისს, იქვე ექიმი ბაგრატ ნაზარიანი „ღვიძლის ფუნქციონალური ცდები და მათი კლინიკური მნიშვნელობა". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. გ. ვორონინი, პროფ. ვ. ვარაზი, პროფ. კ. ცომაია.

3. 15 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის, 16) პროფესორი პეტრე ბუაჩიძე „დერმატომიკოზების სახეები და მათი გავრცელება საქართველოში". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. კ. ერისთავი, პროფ. ს. კანდელაკი, პროფ. ვ. ჟღენტი, პროფ. დ. იოსელიანი.

4. 15 მაისს, იქვე ექიმი იოსებ ჩარკვიანი (ბათომი) „ჰიპერჰორმონალური მოშლილობანი". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. გ. ღამბარაშვილი, პროფ. ს. საყვარელიძე, პროფ. პ. შუშანია, პროფ. ლ. ელიაშვილი.

5. 16 მაისს საღამოს 8 საათზე ანატომიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (კამოს, 51) დოცენტი კონსტანტინე ვეფხვაძე „ლულოვანი ძვლების ოსტეოგენური სარკომები". ოფიციალური ოპონენტები პროფ. გ. მუხაძე, პროფ. ვ. ჟღენტი, პროფ. გ. ღამბარაშვილი.

6. 16 მაისს იქვე ასისტენტი მიხეილ ჩაჩავა „ძვლოვანი ქსოვილის აღორძინება და ძვლის დეფექტთა დაპლომბვა". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. გ. მუხაძე, პროფ. ვ. ვორონინი, პროფ. მ. კოკოჩაშვილი.

7. 17 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის, 16) ექიმი ზურაბ ბაქრაძე „დაჭანგვითი პროცესების დახასიათების ცდა ტუბერკულოზის დროს". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. ი. აბაკელია, პროფ. ვ. ვარაზი, პროფ. მ. წინამძღვრიშვილი.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ყოველდღე 2—5 საათ. მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან.

15 თბ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის
საბჭო იუწყება,

რომ 1937 წლის 13 მაისს, საღამოს 8 საათზე, საჩვენებელ ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის, 16) შესდგება საბჭოს ღია სხდომა საჯარო პაექრობით. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. პროფესორი ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძე თემაზე „მასალები ზოგიერთ პროტოზოათა კულტურის შესასწავლად". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. შ. მიქელაძე, პროფ. ნ. მახვილაძე, პრ.-დოც. ი. გველესიანი.

2. დოცენტი ეფრემ შარანგოზის-ძე ზაქარაია თემაზე „ტროფიკული წყლულის პათოგენეზისათვის". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფესორები ვ. ვორონინი, ა. მაჩავარიანი, ხ. ყიფშიძე.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ყოველდღე 2—5 საათ. მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან.

35 თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის
საბჭო იუწყება,

რომ 1937 წლის 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ინსტიტუტის კლუბში დანიშნულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას დაიცავენ:

1. ინჟ. რაფიელ რაფიელის-ძე დვალი თემაზე: „მოტომავლის წევის ანგარიშის მეთოდი", ოპონენტები: პროფ. კ